პასუხი თამარ/თათია სამხარაძის განცხადებაზე

მოგახსენებთ, რომ არ ვეთანხმებით თამარ სამხარაძის განცხადებაში დაფიქსირებულ პოზიციას, ჟურნალისტების მიერ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევის თაობაზე.

1.წარმომადგენლობის საკითხი

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ მოწოდებული დოკუმენტაციით არ დგინდება თამარ სამხარაძის ინტერესების, ქეთი ჩუთლაშვილის მიერ წარმომადგენლობის უფლებამოსილება. შესაბამისად, ეთიკის ქარტიას როგორც მინიმუმ უნდა მოეთხოვა შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

***

გარემოებების სრულად შესწავლისთვის აუცილებელია, სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების/ფაქტების მხედველობაში გათვალისწინება, რაც მიზანმიმართულად არ არის დაფიქსირებული თათია სამხარაძის განცხადებაში.

2.პირველი პრინციპი - ინფორმაციის სიზუსტე

ტელეკომპანია პოსტვ-ს ჟურნალისტების მიერ სრულად იყო დაცული ინფორმაციის გადამოწმებასთან დადგენილი სტანდარტი.

წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციების გადამოწმების მიზნით მას არაერთხელ დაუკავშირდნენ ტელეკომპანია პოსტვ-ს ჟურნალისტები, თუმცა უშედეგოდ.

თათია სამხარაძესთან სატელეფონო კომუნიკაციის დამყარებას უშედეგოდ ცდილობდნენ:

- ანა შანიძე უშედეგოდ ცდილობდა დიმიტრი ჩიქოვანთან და თათია სამხარაძესთან, წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე მათი პოზიციის მოსმენას. თათია სამხარაძემ რასაკვირველია, არ უპასუხა დასმულ შეკითხვას. აღნიშნული, დაფიქსირებულია ასევე გადაცემის ჩანაწერშიც [2023 წლის 23 მარტი]. [იხ. დანართი 1 - ტელეკომპანია პოსტვ-ს ახალი ამბების მიერ მომზადებული სიუჟეტი https://fb.watch/kme46p-s5L/?mibextid=irwG9G].
- ნათია ბერიძე [იხ. დანართი 3 - ჩანაწერი] ცდილობს სატელეფონო კომუნიკაციის დამყარებას თათია სამხარაძესთან, ეს უკანასკნელი კი უთიშავს ზარს. ზარის გათიშვის შემდგომ თათია სამხარაძე უპასუხოდ ტოვებს ნათია ბერიძის ზარს. აღნიშნული კომუნიკაცია განხორციელდა 2023 წლის 24 მარტს. ნათია ბერიძემ, დამატებით, ასევე შეტყობინების გაგზავნისას [იხ. დანართი 4 - მიმოწერა] ვერ მიიღო პასუხები დასმულ შეკითხვებზე. თათია სამხარაძის პასუხები არ ეხებოდა დასმულ შეკითხვებს და ამგვარად ცდილობდა პასუხის გაცემის თავიდან არიდებას.
- ნინო სალუქვაძეც, ასევე უშედეგოდ შეეცადა სატელეფონო კავშირის დამყარებას, უკვე 2023 წლის 25 მარტს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჟურნალისტების ნაწილი ასევე ცდილობდა თათია სამხარაძესთან დაკავშირებას სადარბაზოს შესასვლელში არსებული დამაფონის მეშვეობით, რასაც ასევე არ პასუხობდა.

შესაბამისად, სრულიად გაურკვევლია და უსაფუძვლოა თათია სამხარაძის პოზიცია ინფორმაციის გადამოწმებასთან/სიზუსტესთან დაკავშირებით. მას ჰქონდა სრული ინფორმაცია და ყველა შესაბამისი საშუალება დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია, გაეკეთებინა კომენტარი და პასუხი გაეცა ჟურნალისტების შეკითხვებზე, რაც სამწუხაროდ, მისი მხრიდან მყისიერად სატელეფონო ზარის შეწყვეტის გამო ვერც მოისმინა. თათია სამხარაძეს შეეძლო ეპასუხა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებზე ან/და გამოეყენებინა სხვა საშუალებები [სოციალური ქსელი, ელ. ფოსტა, წერილის გამოგზავნა და სხვა].

განცხადებაში აღნიშნულ ყველა ეპიზოდზე, ტელეკომპანია პოსტვ-ს ჟურნალისტები ცდილობდნენ კავშირის დამყარებას, თუმცა ყველა ეს ცდა უშედეგოდ სრულდებოდა.

კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ თემებზე, შესაბამისი პირების მხრიდან იგნორი, ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნება განხილული როგორც გამოხატვისა თუ მედიის თავისუფლებისა შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება, 2023 წლის 26 მარტს თათია სამხარაძის მიერ გამოქვეყნებულ პოსტს, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სწორედ რომ გადაცემაში პირდაპირი ჩართვის დროს განახორციელა სავარაუდოდ მან გაქცევა საკუთარ სახლში. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა დაიწყო 21:00 საათზე, მისი მხრიდან დაგვიანებით ვიდეოს გადაღებაც და პოზიციის უკვე საღამოს თერთმეტის საათის წუთებზე დაფიქსირებაც, აღნიშნული ვარაუდის დამადასტურებელია.

შესაბამისად, თათია სამხარაძის პოზიცია არის არგუმენტებს მოკლებული, და ფაქტების დამალვის/დამახინჯების „ხარჯზე“ ცდილობს „თავი დაცვას.“

3.მეათე პრინციპი - ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი

მეათე პრინციპთან მიმართებაშიც თათია სამხარაძის განცხადება არის უსაფუძვლო.

თათია სამხარაძე 2023 წლის 15 თებერვლის შემდგომ ეძიებდა სამსახურს [იხ. დანართი 1], და საზოგადოებაში სწორედ რომ სრულიად სხვაგვარი ამპლუაში წარმოაჩინეს უკვე 2023 წლის მარტის თვეში. 2023 წლის 23 მარტს გადაცემა „მრგვალ მაგიდაში“ მისი ინტერვიუს შეფასების შედეგად, დასტურდება რომ ის არა გასართობი გადაცემის წამყვანი, არამედ სწორედ პოლიტიკური მესიჯების გამტარი პირი. სრულიად, უსაფუძვლოა იმაზე მსჯელობა რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში თათია სამხარაძე არ წარმოადგენდა საჯარო პირს. თათია სამხარაძე ყველანაირად ცდილობს თავი წარმოადგინოს იმგვარად, რომ აირიდოს განხილვა მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე. თათია სამხარაძისთვის „ფსიქიკური ტანჯვის მიყენება“, ასევე წარმოადგენს

განცხადებაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ უსაფუძვლო და არგუმენტს მოკლებულ პოზიციას.

ასევე, ყველა ის კომუნიკაცია რაც მასსა და დიმიტრი ჩიქოვანს შორის ხორციელდებოდა, სწორედ რომ წარმოადგენს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ვინაიდან, თავის მხრივ დიმიტრი ჩიქოვანი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფიგურას ფორმულასა და ნაც მოძრაობის მართვაში. რასაკვირველია, მათი პირადი ურთიერთობები არცერთ შემთხვევაში არ იქნებოდა/იქნება განხილვის საგანი.

ის კამპანია, რაც რეალურად დაიწყო შალვა რამიშვილის, როგორც ტელევიზიის დამფუძნებლის წინააღმდეგ, სწორედ რომ იმ პერიოდში ხორციელდებოდა როდესაც წყაროს მიერ მოწოდებული ინფრომაციით ადგილი ჰქონდა დიმიტრი ჩიქოვანსა და თათია სამხარაძეს შორის შეხვედრებს ამ საკითხებზე. ამავე დროს, ის აგორებული შავი კამპანიაც სწორედ, რომ ნაც-მედიის არხების ყურადღების ცენტრში იყო. აღნიშნული კამპანია, ცალსახად მიმართული იყო პოსტვ-ს რეპუტაციის დაზიანებისთვის.

აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ თათია სამხარაძეს ჰქონდა სრული შესაძლებლობა გაეცა პოსტვ-ის ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხი და წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე იყო მომზადებული შესაბამისი გადაცემები.

ვინაიდან, თათია სამხარაძე თავს არიდებდა შეკითხვების გაცემას, შესაბამისად გაუგებარია რატომ აქვს პრეტენზია რომ გადაცემაში გამოთქმული იყო გარკვეული ვარაუდები და მოსაზრებები მის ქმედებებთან მიმართებაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე მოვლენების გაშუქება განახორციელეს სხვა არხებმაც, თუმცა თათიას აზრით აქაც „პირად ცხოვრებაში შეჭრას“ ახორციელებდნენ ტელეკომპანია პოსტვ-ს ჟურნალისტები, რომლებიც ითხოვდნენ დასმულ შეკითხვებზე პასუხს.

ყველა ქმედება ხორციელდებოდა არხის რეპუტაციის წინააღმდეგ, შესაბამისად ვერ იქნება განხილული, რომ განხორციელდა თათია სამხარაძის პირად ცხოვრებაში შეჭრა. ასევე, აღსანიშნავია, რომ უშუალოდ დიმიტრი ჩიქოვანიც წარმოადგენს „ნაც მედიის“ არხის მმართველს და ვერცერთ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ადგილი არ ჰქონდა საზოგადოების ინტერესს. სწორედ, რომ საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული ყველა იმ ცრუ, ყალბი ინფორმაციის გავრცელებაზე, მათ მიერ შავი კამპანიის განხორციელებაზე, რასაც ცდილობენ სხვადასხვა პირის ჩართვით.

4.მეშვიდე პრინციპი - ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

მეშვიდე პრინციპთან დაკავშირებითაც, გავმეორდებით და აღვნიშნავთ, რომ არანაირ დისკრიმინაციას ან/და სტიგმატიზაციას არ ჰქონია ადგილი. გადაცემებში ისმოდა, შეკითხვები რაზეც პასუხის გაცემა თავად თათიამ არ მოისურვა. არასწორად და სუბიექტურად ცდილობს წარმოჩენას განმცხადებელი, რომ მის როგორც ქალის მიმართ განხორციელდა ასეთი დამოკიდებულება. რასაკვირველია, აღნიშნულ საკითხზეც დაფიქსირებული პოზიცია უსაფუძვლოა, როგორც ყველა სხვა საკითხზე.
ჟურნალისტები და ზოგადად პირები უფლებამოსილები იყვნენ დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება, ემსჯელათ და განეხილათ ვერსიები, განსაკუთრებით მაშინ როდესაც თათია სამხარაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა მუდმივ იგნორს.

5.მეთერთმეტე პრინციპი

ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:

- **ფაქტის განზრახ დამახინჯება;**
- **ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;**
- **პლაგიატი.**

ადგილი არ ჰქონია აღნიშნული პრინციპის დარღვევასაც. დიმიტრი ჩიქოვანსა და თათია სამხარაძეს შორის მწვავე კონფლიქტის შემდგომ, შესაბამისი რეაგირება განახორციელა გადამღებმა ჯგუფმა წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციისთანავე. არანაირი ფაქტის დამახინჯებას არ ჰქონია ადგილი.

***

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თათია სამხარაძის სახელით წარმოდგენილი განცხადება არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თათია სამხარაძის „სახელით“ არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი განცხადებით, ცდილობს მედიისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.

თამარ სამხარაძის მხრიდან ხდებოდა სატელეფონო საუბრის შეწყვეტა ან/და უპასუხოდ ტოვებდა ზარებს და ამ დრომდე მასთან განხორციელებულ კომუნიკაციების დროს სრულად ირიდებს კითხვებზე პასუხის გაცემას.

ნებისმიერი გარემოება, რაზეც სურდა შესაბამისი კომენტარის გაკეთება შეეძლო დაეფიქსირებინა ეს ჟურნალისტებთან ან/და გამოეყენებინა სხვადასხვა ალტერნატიული საშუალება კომუნიკაციის დამყარებისთვის. მისთვის ცნობილი იყო ყველა ის საკონტაქტო ნომერი და თუ სურდა რაიმე გარემოების დაფიქსირება აღნიშნულის თაობაზე ჰქონდა სრული შესაძლებლობა კავშირი დაემყარებინა არხის ჟურნალისტებთან.

დანართები:

1. დანართი 1 – ტელეკომპანია პოსტვ-ს ახალი ამბების მიერ მომზადებული სიუჟეტი https://fb.watch/kme46p-s5L/?mibextid=irwG9G

2. დანართი 2 - თათია სამხარაძის ინტერვიუ ფორმულაზე, მრგვალ მაგიდაში https://www.facebook.com/POSTV.Analytics/videos/190209687085085/?extid=CL-UNK-UNK-UNK-IOS_GK0T-GK1C&mibextid=YCRy0i [გადაცემიდან ამონარიდი]
3. დანართი 3 - ჩანაწერი
4. დანართი 4 - მიმოწერა